სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

01536511375526

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N260121506

რეგისტრაციის თარიღი

03.02.2026 წ

ნოტარიუსი: დიანა სვანაძე
მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #109
ტელეფონი: 2 95 77 45

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდაექვსი წლის სამ თებერვალს ნოტარიუსს **დიანა სვანაძეს,** სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N109, მომმართა **თამარ გოგოლაძემ.**

მან განაცხადა, რომ სურს გასცეს მინდობილობა **ჯემალ აბაიშვილის** სახელზე და დაამოწმოს იგი სანოტარო წესით. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **თამარ გოგოლაძემ** (დაბადებული 02.08.1978წ. თბილისში, მისმართი: **თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. N129**, პირადი ნომერი: 01019003964) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელის ტექსტიც წაიკითხა და მოიწონა მან და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდაექვსი წლის სამ თებერვალს მე, **თამარ გოგოლაძე** (დაბადებული 02.08.1978წ. თბილისში, მისმართი: **თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. N129**, პირადი ნომერი: 01019003964), ამ მინდობილობით უფლებას **ჯემალ აბაიშვილს** (დაბადებული 15.03.1971წ. თბილისში, მისამართი: **თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. N52, ბ. 66,** პირადი ნომერი: 01009002578), მასზედ რომ:

- **მინდობილი პირი უფლებამოსილია** იყოს ჩემი, როგორც უძრავი ქონების (ს/კ N01.12.13.062.005) მესკაუთრის წარმომადგენელი ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში, მათ შორის ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, მერიაში, მერიის არქიტექტურის 1.2.3.4.5 კლასების სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ინფრასტრუქტურის სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, გარემოს დავის საქალაქო სამსახურში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საპატრულო პოლიციაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, კომუნალური მომსახურების დაწესებულებებთან ურთიერთობებში, ასევე „თელმიკოში“, „თელასში“, „თბილისი ენერჯიში“, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“ (GWP), დასუფთავების სამსახურში, კომპანია „სილქნეტში“, კომპანია „მაგთიკომში“, მიმართოს განცხადებით. ჩემი სახელით აწარმოოს საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება, მიიღოს მშენებლობის და სხვა ნებისმიერი სახის (მშენებლობა, მიშენება, დაშენება, რეკოსნტრუქცია, მონტაჟი, დემონტაჟი, გადახურვა, ღიობის ამოჭრა და სხვა) ნებართვა, აღმოფხვრას ხარვეზები, შეიტანოს პროექტსი კორექტირება/შესწორება, გააგრძელოს პროექტის ნებართვის ვადა, უზრუნველყოს უძრავი ქონების ექსპლოატაციაში მიღება და რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. აღნიშნულთან დაკავშირებით წარადგინოს (მათ შორის ელექტრონულად), გამოითხოვის და მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი, ინფორმაცია, ნებართვები, პროექტები, ფოტომონტაჟი, აზომვითი ნახაზები და სხვა, მოახდინოს ცვლილების (მათ შორის რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების) რეგისტრაცია, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას, გადაიხადოს საჭირო გადასახადები და სეასრულოს ყველა სხვა საჭირო მქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

ეს მინდობილობა შედგენილია **სამ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს **დიანა სვანაძის** სანოტარო ბიუროს არქივში.

მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით - 1 (ერთი) წლით და ძალაშია 2027 წლის 03 თებერვლის ჩათვლით ჩათვლით.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: 18.00 (თვრამეტი) ლარი თანახმად **სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლისა,** აგრეთვე დღგ: 3.24 (სამი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, პლიუს: 5.00 (ხუთი) ლარი სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოთაღნიშნული მთავრობის დადგენილებისა 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია: 26.24 ლარი.

მიმნდობი:

თამარ გოგოლაძე _____

ნოტარიუსი _____ / დიანა სვანაძე /